საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაგრატიონიტი

ბაგრატიონიტი, მინერალ ორთიტის (Ca, Ce, Mn)$_2$ (Fe^{2+}Fe^{3+},Mg) Al[SiO$_4$] [Si2O7]O(OH) სახესხვაობა.

კრისტალდება მონოკლინურ სინგონიაში. შავი ან მოყვითალო-მურა ფერისაა. ძლიერ ელვარებს. სისალე მინერალოგიური სკალით 6; სიმკვრივე 4100 კგ/მ ^{3}. რადიოაქტიურია. გვხვდება პეგმატიტურ ძარღვებში. იშვიათ მიწათა ელემენტთა მადანია. წარმოადგენს ორთიტის წახნაგებით მდიდარ კრისტალებს.

სახელწ. „ბ.“ უწოდა აკად. ნ. კოქშაროვმა (1847) *პეტრე ბაგრატიონის* პატივსაცემად.

ვ. ჯავრიშვილი